

თხზული ტოპოგრაფიული სპასურში¹

მოკლე შინაარსი

ნაშრომში წარმოდგენილია თხზული ტოპონიმების ანალიზი, რომელთა რაოდენობაც სხვა ქართველური ენების მსგავსად არცთუ მცირეა. როგორც კვლევამ აჩვენა, სვანურში მრავლად დასტურდება კომპოზიტი გეოგრაფიული სახელები, მათ შორის გაცილებით მრავლად გვხვდება გენეტიურმსაზღვრელიანი ტოპონიმები, ხოლო შედარებით ნაკლებად - ატრიბუტულმსაზღვრელიანი.

სიტყვათშეერთებით მიღებულ ატრიბუტულმსაზღვრელიან ტოპონიმებში მსაზღვრელის მეშვეობით, კარგად ჩანს ამა თუ იმ ობიექტის ადგილმდებარეობა და ტერიტორიული დახასიათება, გეოგრაფიული ობიექტის მასშტაბი, მისი დასახლებისა და წარმოშობის სიძველე თუ სიახლე, ამა თუ იმ ადგილისათვის დამახასიათებელი რელიეფი და სხვ. მსაზღვრელად უმეტესწილად გვხვდება ზედსართავი სახელები (როგორც ვითარებითი, ისე მიმართებითი) და მიმღება, შედარებით ნაკლებად არსებითი სახელი და იშვიათად რიცხვითი სახელი. რაც შეეხება გენეტიურმსაზღვრელიან ტოპონიმებს, მართული მსაზღვრელი ნათესაობით ბრუნვაშია (ხან ბრუნვის სრული ნიშნის დაცვით, ხან ნაწილობრივ) და უცვლელად უკავშირდება საზღვრულს მხოლობით ან მრავლობით რიცხვში. გენეტიურ მსაზღვრელად სვანურში გამოყენებულია საკუთარი და საზოგადო სახელები. ყველაზე ხშირად გამოყენებულია ანთოროპონიმები - უმეტესწილად დასტურდება პირის სახელი, ნაკლებად გვარი, ხოლო უფრო იშვიათად კი სახელი და გვარი ერთად.

საკვანძო სიტყვები: ტოპონიმია, ანთოროპონიმია, სემანტიკა, სინტაქსი, სინტაგმა.

¹ კვლევა განხორციელდა 2016 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის - „სვანური ენის ტოპონიმია (ფუნდამენტურ-გამოყენებითი გამოკლევა ლექსიკონითურთ)“ ფარგლებში.

TOPOONYM COMPOSITES IN SVANURI

Abstract

The work represents an analysis of composed toponyms. The number of toponyms is much like the Kartvelian languages. As research has shown, compound geographical names are frequently evidenced in Svan, among them there are many more genitive determiner toponyms and attributive determineris relatively less.

In attributive determiner toponyms derived from word combination by means of determiner reflect the location and territorial characterization of a certain object, the age or origin of its settlement and production, the relief characteristic of this or that place and etc. We have mostly adjectives (both circumstantial adjective and relative adjective) and gerund with the function of the determiner, noun and the numeral occur relatively less). As for genitive determiner toponyms, set up attributive is in possessive case (sometimes with full defending the sign of the case and sometimes partially) and it is invariably associated with defined in singular or plural. Proper nouns and common nouns are used with the function of genitive determiner in the Svan language. Anthroponyms are most commonly used - most often the person's name, less the surnames and rarely is found first names and surnames.

Key Words: Toponymy, anthroponomy, semantics, syntax, syntagma

შესაფალი. სხვა ქართველური ენების მხგავსად სვანურიც მდიდარია კომპოზიტი გეოგრაფიული სახელებით, რომელთაგან ნაწილი ატრიბუტულმსაზღვრელიანია, ნაწილი კი გენეტიურმსაზღვრელიანი, თუმცა აშეარად ჭარბობს ეს უაანასქელი. „მართულმსაზღვრელიან ტოპონიმთა სიმრავლე გამოწვეულია ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორებით: ადამიანთა კოლექტივი ობიექტს ხშირად იმის მიხედვით აღნიშნავს, თუ ვის მაჟოვნის იგი (ან რას მიემართება იგი)“ (ცხადაია, 1985: 124).

კვლევის მიზანი. ჩვენი კვლევის ინტერესს ამჯერად სწორედ თხზული ტოპონიმები წარმოადგენს, როგორც ატრიბუტულმსაზღვრელიანი ისე გენეტიურმსაზღვრელიანი, რომელთა რაოდენობაც სხვა ქართველური ენების მხგავსად დიდია. კვლევაში სათანადო მასალის, სვანურ ტოპონიმთა ზედმი-

წევნითი ქართული თარგმანები ბრჭყალებშია მოცემული, სადაც ქარგად ჩანს სვანურისთვის დამახასიათებელი წარმოებისა და სახელდების თავისებურებები.

მსჯელობა. კომპოზიტი გეოგრაფიული სახელები შედგება მსაზღვრელ-საზღვრულისგან, სადაც მსაზღვრელი სახელები აზუსტებენ, მეტ ინფორმაციას გავაწვდიან საზღვრული სახელის შესახებ: „ეს დაზუსტება შემდგენ დროის მოვლენა უნდა იყოს, როდესაც ნიშანთა მსგავსების გამო გაჩნდა რამდენიმე ერთნაირი სახელწოდება, ან ერთი სახელწოდების პუნქტი გაიზარდა ტერიტორიულად, დაიყო და წარმოიშვა ამ ადგილთა გარჩევის ბუნებრივი აუცილებლობა“ (ზურაბიშვილი, 1961: 156).

ატრიბუტულმსაზღვრელიანი ტოპონიმები: სიტყვათშეერთებით მიღებულ ატრიბუტულმსაზღვრელიან ტოპონიმთა სახელდება არ არის შემთხვევითი, მათში, მსაზღვრელის მეშვეობით, კარგად ჩანს ამა თუ იმ ობიექტის ადგილმდებარეობა და ტერიტორიული დახასიათება, გეოგრაფიული ობიექტის (უბანი, სოფელი, ხეობა) მასშვაბი (სიდიდე-სიპატარავე, სიმაღლე-სიმოქლე), მისი დასახლებისა და წარმოშობის სიძველე თუ სიახლე (წარსულში კონკრეტული ადგილის ფუნქცია, წარმომავლობა), ამა თუ იმ ადგილისათვის დამახასიათებელი რელიეფი და სხვ:

ჟიბე თებერ „ზედა ბოკვნარი“, სათიბი შერეული ტყით (მესტია, უაბეში);

კაც-დაბ „მრუდე ყანა“, ყანა(ლენტეხი, დურაში);

ისკლეწვარ „შუა წიფლნარი“, გზა თეკალის სამხრეთ მთისკენა გზაზე, წიფლნარი (ლენტეხი, თეკალი);

ხოშა დაბ „დიდი ყანა“, სათიბი ლუჯის მთა უჟალში (ლენტეხი, ლუჯი);

სგობინ დაბარ „წინას ყანები“ (ლენტეხი, შკედი);

ჯულ-ლარა „გრძელი მინდორი“, საძოვარი (მესტია, იენაში);

ლეოფალინაკ „საოფალო ვაკე“, საძოვარი (ლენტეხი, საყდარი);

ტაფ-ჭარან „დამრეცი ჭიუხვი/კლდოვანი ადგილი“, სათიბი მამის ჩრდილოეთით, კლდეცაა (ლენტეხი, მამი);

ზესყილარა „ნედლი მინდორი“, ჭაობიანი ადგილია (ლენტეხი, კახურა);

ლეგანტურები „წაქცეული სვეტი“, კლდებოგრეშის სამხრეთ-აღმოსავლეთით ენგურის მარცხენა კალთაზე (მესტია, ბოგრეში);

სკრი დაბ „წვეტიანი ყანა“, ყანა, სახლებიცაა (ლენტები, მელექ);

ლაგურწალარტფელ „გასაძრომი სარტყელები“, კლდე, მთა თეთნულდის ძირას (მესტია, ცალდაში);

მეშხილთარგლეზერ „შავუკა მთავარანგელოზი“, ტაძრის ადგილი (მესტია, ყაზაყი);

ძღვდ ლარ „დიდი ხევი“, საძოვარი, კლდე ზეგანის სამხ., მდ. ლასილის მარჯვ. მხარეზე (მესტია, იფარი);

ხოშა ლაბურდუ „დიდი საბუერე“, საძოვარი მთა შუაში, ღელეა (მესტია, ცხუმალდი);

ჯურინელ ნალგენტარ „ძველი ნათენები“, ტყე, საძოვარი (მესტია, ქაშვეთ-ლაშტხვერი);

ლეგლეჩუმუგაპ „ლეჩხუმური კაკალი“, ნიგვზის მიდამოები (ლენტები, კახურა);

მახენამრლ „ახალი ნაკაფი (ტყის)“, ტყე (მესტია, არცხელი);

ხორუა ლაჭხალდ „პატარა საჭექე“, საძოვარი (მესტია, ცხუმალდი);

კოლთხი ჭურა „მაღალი ყამირი“, საძოვარი შემაღლებულზე (ლენტები, ახალშენი);

ბენარლობი „ქვიანი ლიობი“, ტყე, დიდლოდებიანი ადგილია, გზაა (ლენტები, ჩოლური, შგედი);

ჰუიწაგარ „საყელო ზეგანი“, საძოვარი (მესტია, სოფ. მაგარდელი)...;

სვანურში ატრიბუტულმსაზღვრელიან გეოგრაფიულ სახელებში მსაზღვრელად უმეტესწილად გვხვდება ზედსართავი სახელები (როგორც ვითარებითი, ისე მიმართებითი) და მიმდება, შედარებით ნაკლებად არსებითი სახელი და იშვიათად რიცხვითი სახელი:

ზესკილელ „მშრალი ღელე“, დარი (ლენტები, მახაში);

ჭუითელ ტობ „ყვითელი ტბა“, ლილისფერი ტბაა, ირგვლივ საძოვრებია (მესტია, კაცხი, სვიფი);

მეშხატუიბრა „შავი ღელე“, ღელე, ტყიანია, შერეული, ზედა ნაწილი წიწვნარია, წყალი სუფთაა, მაგრამ ნიადაგი შავია (მესტია, ჭუბერი);

წერნი ლაპრტყ „წითელი სარტყელი“, კლდე, წითელი ფერისმაგვარი კლდეა, შრეა მოწითალო (მესტია, მულახი);

მურგუშლლარა „მრგვალი სათიბი“, სათიბ-საძოვარი (მესტია, იელი, ხალდე, წვირმი);

მგცხილიცილდ „ცივი წყალი“, წყარო, კლდიდან გამომდინარე ცივი წყალი (მესტია, მურშქელი);

სკრდი ღელა „ღრმა ღელე“, ღელე ჩაჭრილი კალაპოტით (ლენტეხი, ღობი);

ტებდი ნიცრლ „თბილი წყალუკა“, წყარო (ლენტეხი, ჩუკული, ლეკუმბასტი);

წიფტრ ზაგრ „წიფლნარი ზეგანი“, ზეგანი მდ. ენგურიდან მთა ლამოჯას ძირამდე (მესტია, ლაფსყალდი);

წუირალ ღელა „წვირიანი ღელე“, ღელე ლასკადურას აუზში, ჭუჭყიანის ყოველთვის (ლენტეხი, კახურა)...

კომპოზიტ გეოგრაფიულ სახელებში მიმდეობიანი ატრიბუტული მსაზღვრელი ხშირად დასტერდება და, შეიძლება ითქვას, რომ ტერიტორიულად მთელი სვანეთის ტოპონიმიკას ასახავს, ძირითადად გვხვდება **ლა- ა, ლუ-, ლგ-, ლუ-ჲ, მგ-, ნა-** პრეფიქს-სუფიქსიანი მიმდეობები, რომლებიც ზმებისაგან, არსებითი სახელისაგან და მასდარებისგან არის წარმოებული:

ლასდლუნალმგ „საბანაო ტბა“, ხელოვნური ტბა აეროპორტისკენა გზაზე (მესტია);

ლასგუმუნაშუკუ „სამჟავეწყლეშუკა“, გზასგიმისაპენ (მესტია, ფალედი);

ლასკრალაბზუგუ „მოსაფიქრებელი ბორცვი“, საძოვარი (მესტია, ლალამი);

ლებოჩიებოლ „სასაქონლე მინდორი“, სათიბ-საძოვარი მდ. ჩოლშურას მარცხენა კალთაზე (ლენტეხი, ბაბილი);

ლებურლუტოკერ „საბუერე ფსკერი“, გზა მთისკენა გზაზე თეპალის სამხრეთით (ლენტეხი, თეპალი);

ლგჩხეტტუბირა „საკენჭე ღელე“, ღელე, მდ. ჭუბრულას მარჯვენა შენაკადი, მოაქვს კენჭებიც, ქვები მოზრდილი, იცის ღვარცოფი (მესტია, ლეწვერი);

ლგჩხიტლაბშუდა „კენჭიანი ჩამოსაშვები“, შურო, კირქვების ჩამოსაყრელი ადგილი (მესტია, ლეხთაგი);

ლუნჩულილესგ „სამეწყრე გვერდი“, ფერდობი(მესტია);

ლუხტროტებაჩჩრ „დახვავებული ქვები“, ყანა (მესტია, უშხვანარი);

მუშალიტუბიძრა „მოქმინავე დელქ“, დელქ (ლენტეხი, დურაში);

მგტანტალიტუბა „მოქანავე ტბორი“, სამოვარი, ადრე კაცი რომ შედგებოდა, ქანაობდა ხიდივითო, ამჟამად გამაგრებულა (ლენტეხი, მაზაში);

მგპნწგრიმოლულდ „მოქანავე/მოკონწიალე მინდორი“, სამოვარი, დაკიდული ადგილია, დაქანებულია საკმაოდ (ლენტეხი, ყველრეში);

ნაბიჯუდაბარ „განახლები ყანები“, ყანები (ლენტეხი, ახალშენი);

ნაჟუა ლარე „ნაზვავარი სათიბი“, სამოვარი (მესტია, ცალერი);

ნაცულდილ დარ „ნაცოდვარი დარი“, დარი (მესტია, წირმინდი)...;

რიცხვითი სახელები როგორც ატრიბუტული, ისე გენერიური მსაზღვრელის ფუნქციით სკანურში ძალზედ იშვიათია, სულ რამდენიმე მაგალითი დაფიქსირდა:

მეოთხენაკუეთ – ხევი (მესტია, ზ. ვედი); **მეხუთენაკუეთ** – ხევი (მესტია, ზ. ვედი); **უსგუა დეშლუსგუა დოლეშ ხატარ** „სამოცდაეჭვისი დოლის ხატები“, კოშკი, ინახება ხატებიც (დოლი); **აშირყერმაცხუყრ** „ასი მადლის მაცხოვარი“, ეკლესია (მესტია, უშგული, მურქმელი)...

თუმცა გვხვდება რიცხვითი სახელით განსაზღვრული მსაზღვრელისა და თანდებულის შეერთებით მიღებული კომპოზიტი გეოგრაფიული სახელები (აგრეთვე ერთი შემთხვევა - რიცხვითი სახელისა და თანდებულის შეერთებით მიღებული გეოგრაფიული სახელისა - **დარნენსგოლ**, „ორსტუა“, სამოვარი (მესტია, თავრარი); **მარგცნესგა** „ორწყალს შუა“, არყნარ-საძოვარი (მესტია, უშგული); **დარბკოჯნესგა** „ორ კლდეს შუა“, კლდე გაყოფილი შერეული ტყით (ლენტეხი, ბაბილი); **დარბლგცნესგა** „ორ წყალს შუა“, ყანები, უწინ მდინარეთა შუაში იყო (ლენტეხი, ლესემა); **დარუტუბიძრანესგა** „ორ დელეს შუა“, სამოვარი (მესტია, ბოგრეში)...

სახელურფუძიან თზულ გეოგრაფიულ სახელებში ზედსართავით გამოხატებული მსაზღვრელი (სემანტიკური თვალსაზრისით) მრავალუეროვანია და გამოხატავს საზღვრულის ემოციურ შეფასებას, ფერს, ქონება-უქონლობას, დანიშნულებას, ფორმა-აღწერილობას (სიღიღე-სიპატარავეს, სიგრძე-სიმოკლეს,

სიფართე-სივიწროვეს, სიმაღლეს), ტემპერატურას, სივრცით
მიმართებას და ა.შ.

ხოჩა თოთ „კარგი კლდე“, კლდე ტუიბერის მყინვარებში
(მესტია, ცალდაში);

**ხოლისილშერ „ცუდი ჩილშერ{ის}ანები“, უბანი (ლენტები,
ყარიში);**

**თეთნე ფოქ „თეთრი გამოქვაბული“, გამოქვაბული (მესტია,
ნანგვლი);**

**მეშეეუმბილ „შავი მრგვალუქა“, კლდე, მრგვალი მწვერ-
ვალისებურია, შავი ფერის კლდეებია (მესტია, მულახი);**

**ლგლიცტუიბ „წყლიანი ხევი“, ხევი (მესტია, ზარდლაში,
არცხელი);**

**ლაშტამუაჭუარ „მოსასვენებელი არყის ხეები“, შესასვ-
ლელი (ლენტები, მამი);**

ლადეხლარ „სადუცესათიბი“, საძოვრები (ლენტები, ცანა);

**მეშტეო-ზაგარ „საფიქალე ზეგანი“, საძოვარი, რელიეფუ-
რად-ზეგანია (მესტია, კაერი);**

**კაჩ-შუჯუ „აღმართი შუკა“, გზა, ოდნავ დამრეცი (მესტია,
იუნაში);**

ხოშა თეთნულდ „დიდი თეთნულდი“, მწვერვალი (მესტია);

**ხორუა სყელდერ „პატარა სყელდერი“, საძოვარი (ლენ-
ტები, კახურა);**

**მაშრიღარ „ფართო დარი“, სათიბი, დარიაშუროსავით (ლენ-
ტები, ჭველიერი, ლევშერი);**

მეკუეშტესტიგ „მოკლე გორა“, გორა (ლენტები, რცხმელური);

ნარდო ტუბრა „მდგრიე დელე“, დელე (ლენტები, ნაცული);

ქტერ ლიცტლ „ცივი წყალუქა“, წყარო (ლენტები, თეპალი);

**ლერსკუან ლასპა „მარჯვნივ სატრიალო“, გზა მთისკენა
გზაზე, საკულტოსნაირი, დასასვენებელი (ლენტები, ჩოლური);**

სგობინ დაპარ „წინა ყანები“, ყანები (ლენტები, შკედი)...

**როგორც განხილული მასალიდან ჩანს, შედგენილობის მი-
ხედვით მსაზღვრელად გვხვდება მარტივი ან ნაწარმოები სი-
ტყვები, ხოლო კომპოზიტი მსაზღვრელი ძალზედ იშვიათია:**

**ლაზ-ლაჩადღირ „მისასვლელ-მოსასვლელი დარი“, საძოვა-
რი, ბილიკი, მთა ბავალაშისკენა გადასასვლელი (ლენტები,
ბავარი);**

**თუეთნე-მეშე ლალფუარ ქაშან „თეთრ-შავი დასაწოლი ბი-
ლიკი“, ბილიკი, ჯიხვების სამყოფ-დასაწოლი (მესტია)...**

სიტყვათშეერთებით მიღებულ ტოპონიმებში არა ნაკლებ საინტერესოა საზღვრული სიტყვის შედგენილობა, შინაარსი თუ პოზიცია. ატრიბუტულ მსაზღვრელიან გეოგრაფიულ სახე-ლებში, შედგენილობის მიხედვით ძირითადად გვხვდება მარტივი და ნაწარმოები საზღვრულები:

მაშრიჭალა „ფართო ჭალა“, საძოვარიმთა (მესტია, ჭუბერი);
სიტყვალის „მრგვალი, სწორი სათიბი“, სათიბი (მესტია, არცხელი);

ხოშა ლევრა „დიდი საარაყო“, კლდე, საძოვარი მთა ლეირაყთან (მესტია, ნაკი);

წგრინი ტუბრა „წითელი ღელე“, ღელე, პატარა მდინარეა, წითელი ფერის თიხა აქვს (მესტია, თოთანი);

ჯურინელ ნამრალ „ძველი ნაკაფარი“, ტყე (მესტია, არცხელი)...;

საზღვრული სახელები მრავალფეროვანია, აღნიშნავენ ჰიდრონიმებს, ორონიმულ ტერმინებს, სხვადასხვა ობიექტების სახელებს, სამეურნეო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების აღგილთა სახელებსდა ა.შ.:

მეშექალა, „შავი ჭალა“, მდინარე (მესტია, ლახუშდი);

კასგრიმგა „ჭადარა ტბა“, ტბამოზრდილი, ჭაობიანი მიდამოთი, რომელშიც ჩანს მოლურჯო ფერის ბალახი აქა-იქ (მესტია);

ულუირ ზაგარ „ულვირი ზეგანი“, ქედი, ამაღლებული ადგილი (მესტია, წვირმი);

წგრინი კამრაძარ „წითელი კამარები“, კლდე (მესტია, ქაშეთ-ლაშოხევრი);

ჯურინელ ნაკანტორ „ძველი ნაკანტორალი“, ტყე (მესტია, ხევრა);

ხოშა ლარა „დიდი სათიბი“, სათიბი (მესტია, ქურაში);

ლატაფცაგდერ „საფერდე გალნარი“, ყანა, მოფერდო ადგილი, ბეგრი ეკალი იცის (მესტია, კიჩხულდაში);

ლათაშგრიდუმირ „საყველე ნაძვი“, შესასვენებელი ადგილი, მთა. გზაზე მიმავალნი მთიდან ან მთაში ისვენებდნენ ერთ „საკულტო“ ნაძვთან, ამოიდებდნენ ყველს, მიირთმევდნენ და იქაც ტოვებდნენ ლუკმისოდენას (მესტია, ლეზგარა, ტვიბერი);

ხოშა ლაჭხალდ „დიდი საჭახანო“, საძოვარი, ლაჭხალდის ქვედა მხარე, ტყიანია (მესტია, ცხეუმალდი);

ჯურინელ ნალგენუბრ „ძველი ღამისნათევები“, ტყე, საძოვარი (მესტია, ქაშეთ-ლაშოხევრი);

ჯუნელ ნაშუკუ „ძველი ნაშუკარი“, გზა (მესტია, ხაიში)...

სვანურში ატრიბუტულმსაზღვრელიან ტოპონიმებში საზღვრული წევრის საწარმოებლად ხშირად გამოყენებულია კნინობითის -ილ, -გლდ, -ილდ, -ულ, -ოლ, -ოდ სუფიქსები.

ჭუდრ ლიცელ „გრილი წყალუკა“, წყარო (ლენტეხი, ფანაგა);

წგრნი სგიმგლდ „წითელი ვებუკა“, მჟავე წყალი (მესტია, ლაღამი);

ლაშმინიცხილდ „მოსასვენებელი მსხალუკა“, შესასვენებელი (მესტია, ლელბაგი);

ნაკლაბულ „ვაკე ყანუკა“, ყანა, ვაკე რელიეფით (მესტია, ლაპილი);

ჟაბე ჭალოდ „ზედა ჭალუკა“, ვენახი (ლენტეხი, ლესემა);

ჯოდი ლარილარ „გრძელი მინდვრუკები“, საძოვარი (მესტია, ლეზგარა);

ლალციშუკულ „საწყლე შუკუკა“, ნაბილიკარი (ლენტეხი, ახალშენი);

მურგუალლაროლ „მრგვალი მინდვრუკები“, სათიბები (ლენტეხი, ხოლური, ფანაგა);

რაც შეეხება რიცხვში შეთანხმების საკითხს ატრიბუტულმსაზღვრელიან ტოპონიმებში, როგორც მოსალოდნელი იყო (სხვა ქართველური ენების მსგავსად, სვანურშიც პრეპოზიცირი მსაზღვრელი რიცხვში არ ეთანხმება საზღვრულს), შეთანხმების იშვიათი შემთხვევა დასტურდება (ერთი ტოპონიმი შეეხვდა, როცა ორივე წევრი მრავლობითშია), ძირითადად საზღვრულია მრავლობითში მსაზღვრელი კი მხოლობით რიცხვში, ასევე იშვიათია (ერთი შემთხვევა) მსაზღვრელი მრავლობითში და საზღვრული მხოლობითში:

ლალცერნაგურ „საწყლე ვაკეები“, სათიბები, ვაკე-ფერდობები (მესტია, მურყმელი);

ნაპ დაბარ „ვაკე ყანები“, ყანები (მესტია, ზემო სგურიში);

წგრნი კლლელდარ „წითელი ქვები“, კლდე, ნადირთ ჩასაკეტი (ლენტეხი, ზესხო);

მუბრილგცერ „ბნელი წყლები“, წყლები (მესტია, ნაკიფარი);

ტახ-ლაშყდიარ „მოსაბრუნებელ-გადასავარდნი“, საძოვარი, ციცაბო კლდიანია (მესტია, მაცხვარიში);

ლალცერგოჭარ „სანადირო კლდები“, კლდეები (ლენტეხი, ყორულდაში);

ლოტ]ლშერლბრბლ „სალესი სათიბები“, სათიბები (მესტია, გაერი);

მსზადვრელ-საზღვრულის პოზიციის მიხედვითაც არ გამოირჩევა სვანური სხვა ქართველური ენებისგან, სიტყვათშეერთებით მიღებულ ტოპონიმებში (სხვა ქართველური ენების მსგავსად) პოსტპოზიციური ატრიბუტული მსაზღვრელი სვანურში მეტად იშვიათია, საანალიზო მასალის საფუძველზე თამამად შეიძლება ითქვას რომ პრეპოზიციურ წყობას ანიჭებს უპირატესობას (რაც ზემოთ წარმოდგენილ მაგალითებშიც ნათლად ჩანს):

კოგ-მეხურა „კლდე-მორდვეული“, სათიბები (ლენტები, მახაში);

ბოგ-ზგსგი „ხიდი-მშრალი“, ნახიდარი (ლენტები, ჩოლური, ჭველიერი);

ბოგ-ზგსკი „ხიდი-მშრალი“, სათიბი (ლენტები, ჩოლური, ბულეში, გულიდა);

ბაჩმეხურა „ქვა-დანგრეული“, ქვიანი ადგილი (მესტია, იფრარი, კალა), კლდე (სოფ. ბოგრეში, იფარი);

**გურიუ-მენგერა,,წაბლ-მაღალი“საძოვარი,
წაბლიდგასდიდი(ლენტები, კახურა);**

როგორც ადმოჩნდა, სვანურისათვის უკავშირო სიტყვათშეერთებით მიღებული ტოპონიმებია დამახასიათებელი, ხოლო კავშირიანი კომპოზიტი ტოპონიმები იშვიათია, რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა გენეტიურმსაზღვრელიან გეოგრაფიულ სახელებთან და ისინი ახლოს მდებარე პუნქტებს გამოხატავენ:

ლაშამბულბრიშიიგოლბაქაშან „შამბნარებისა და ციცაბოს ქაშანი“, ბილიკი (ლენტები, გულიდა);

გურაშაიალფშამურჭუამ „გურასანი{სა} და ალფისანი{ს} კოშგი“, ნაკოშკარი, ნახევრადდანგრეული (მესტია, ქაშვეთი, ლენჯერი);

გიორგიშილემინიშნაკრატ „გიორგისა და ლემინის ნაკარვები“, ნაკარვები (მესტია, ტვიბერი, ცხუმარი);

ჩუბე ჟიბე ცალერ „ქვემო და ზემო ცალერი“ (მესტია, ცალერი)...;

გენეტიურმსაზღვრელიანი ტოპონიმები: სვანურის მრავალფეროვან სახელურფერდიან თხზულ კომპოზიტებში, გენეტიური მსაზღვრელი ისეთსავე სინტაქსურ ურთიერთობაშია საზღვრულთან, როგორც ეს სხვა შესიტყვებში გვხვდება. გენე-

ტიური მსაზღვრელი ნათესაობით ბრუნვაშია (ხან ბრუნვის სრული ნიშნის დაცვით, ხან ნაწილობრივ) და უცვლელად უკავშირდება საზღვრულს მხოლობით ან მრავლობით რიცხვში.

მართულ მსაზღვრელად სვანურში გამოყენებულია საკუთარი და საზოგადო სახელები. ყველაზე ხშირად გამოყენებულია ანთროპონიმები - უმეტესწილად დასტურდება პირის სახელი, ნაკლებად გვარი, ხოლო უფრო იშვიათად კი სახელი და გვარი ერთად.

ადსგლებმურჯუამ „ადსულას კოშკი“, კოშ კი (მესტია, იფარი, ადი ში);

ჯაბბა ლიც „ჯაბას წყალი“, წყარო (ლენტეხი, ყველრეში);

ქუიცანიაშ ლამურჯუამ „ქვიციანის საკოშკე“, ნაეკლესიარი (მესტია, ნაკი);

ჟორჟლანდნაძ „ჟორჟლიანის ვაკე“, ტყე, საძოვარი (მესტია, სოლი);

აფრასიძეგელაშლეჭუერ „აფრასიძე გელას წისქვილი“, წისქვილის მიდამო (მესტია, ბერი, ბაგვანარი);

პირთა აღმნიშვნელ საკუთარ და საზოგადო სახელთაგან ნაწარმოებ კომპოზიტურ ტოპონიმებში მართული მსაზღვრელი ძირითადად გამოხატავს განკუთხნება-დანიშნულებას, კერძოდ სახელდებული ობიექტის მფლობელს, სახელდებული ობიექტის აღმომჩენს ან ობიექტთან რაიმე საქმიანობით დაკავშირებულ პირს, ადამიანთა ჯგუფს რომელიც ტოპონიმით აღნიშნულ ადგილას ცხოვრობს, დანიშნულებას და ასევე ობიექტთან რაიმე ნიშნით დაკავშირებულ სუბიექტს. ხოლო რაც შეეხება საზღვრულ წევრს, შინაარსობლივი თვალსაზრისით საზღვრულში ზოგჯერ ჩანს ამა თუ იმ გეოგრაფიული ობიექტის წარმომაგლობა, თუ რისი მიხედვით უნდა მომხდარიყო სახელდება.

გენეტიურმსაზღვრელიან ტოპონიმებში მსაზღვრელი შეიძლება შეგვევდეს ნათესაობითი ბრუნვის შემდეგი ნიშნებით: - იშ, -შ, -ეშ, -ემიშ(შტო-გვარის სახელთაგან წარმოებულ ტოპონიმებში კი ნათესაობითი წარმოებულია -შა, -შერ ფორმანტებით).

პრიმიშტეუიბილდ – „არიმის ხევი“, ხევი (მესტია, ხაიში);

არეთშდაბ – „არეთას ყანა“, ყანა (მესტია, ხაიში, ლეხი);

ონფორეშ ნეკეთ – „ონფორეს ნაკვეთი“, ტყე (მესტია, ქვედი);

თხერემი ლიცილდ – „მგლის წყალი“, წყარო (ლენტები, ლასკადარი);

გუჩაშამურყუამ – „გუჩასაანთ კოშკი“ ნაკოშკარი (მესტია, პეტელი, ლენჯერი);

სორეხშერ ლარ – „სორეხსაანთ ლარი“ სათიბი (მესტია);

გენეტიურმსაზღვრელიანი ტოპონიმები ძირითადად ორშემა-დგენლიანია, თუმცა გვაქვს შემთხვევები, როცა მსაზღვრელი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ორი წევრით, პირის სახელით და გვარით, ან კიდევ შტოგვარის დამაზუსტებელი სახელით, კომპოზიტებით, კომპოზიტური შესიტყვებით, ასევე საზღვრულიც შესაძლოა ორწევრიანი იყოს:

გულედნუალერძმურყუამ „გულედანი ვალერის კოშკი“, კოშკი (მესტია, სოლი, ლენჯერი);

ჯამათშა გიორგიდ დაბ „ჯამათაანთ გიორგის ყანა“, ყანა (ლენტები, ბაბილი);

ცაგადშა არტენი ლაშკემა „ცაგაანთ არტენის სათიბი“, სათიბი (ლენტები, ბაბილი);

ჯამათშა გიორგიდ დაბ „ჯამათაანთ გიორგის ყანა“, ყანა (ლენტები, ბაბილი);

მენვრალელიდაბარ – „მსხვილი დელის ყანები“ ყანები (ლენტები, ჟანუნდერი);

ლადეშგალდაბისაყდარ – „საცილაო ყანის ეკლესია“ ნაეკლესიარი (ლენტები, ზესხო);

ცხეგჯოდიდაბ – „ტყე-გრძელის ყანა“ ყანა (ლენტები, ლექვირი);

კირ-ლაშტუშა შუკრარ – „კირ-მოსარდვევის გზები“ გზა (მესტია, სიდინარი);

გუჯუშნალგენიშტუბილდ – „გუჯუს ნათევის დელე“ დელე (მესტია, იდლიანი, ხაიში);

გაგბიშჭანულმარაგ – „ფიჭვის ქვის გორა“ გორა (მესტია, ლუხი, ხაიში);

გუალდირილასდდუნალმგჳ – „გვალდირის საბანაო ტბა“ ხელოვნურიაუზი (მესტია);

გორგინაჟაპლარ – „გიორგის დანარქშევი დელე“ დელე, საძოვარი (მესტია, ხალდე, კალა);

ქსაზღვრულ-ხაზღვრულისრიცხვში ურთიერთობას რაც შეება ნათესაობითში დასმული მსაზღვრელი თავისუფლებას იჩენს - მისი მხოლობითობის და მრავლობითობის საკითხი არაა გამოწვეული სინტაქსური ურთიერთობით და გვაქვს

შემთხვევები, როცა მსაზღვრელი მრავლობითშია, ხოლო საზღვრული მხოლობითში, მსაზღვრელი მხოლობით რიცხვშია და საზღვრული მრავლობითში ან ორივე წევრი მრავლობითი რიცხვითაა წარმოდგენილი:

ბოფშრენალლატტ – „ბავშვების ნაღალატევი“ საძოვარი (მესტია, ლალაძი);

ქუაჟრე თხუიმ – „კლდეების თავი“ კლდე (ლენტები, ხაჩეში);

უსილომოლოდარ – „ვასილოს მინდვრები“ საძოვრები (ლენტები, ქახუნდერი);

ჰადიშიყინუარ – „ადიშის მყინვარები“ მყინვარები (მესტია, პადიში);

სარგაშრე დაბბრ – „სარგასაანთ ყანები“ ნაყანები (მესტია, ზ. ვედი);

ჟაბშრე ლაროლ – „ზემოთაანთ მინდვრები“ სათიბ-სახნავი (მესტია, ზემო ვედი);

მსაზღვრელ-საზღვრულის წყობასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ორივე შემთხვევაში - გენეტიურმსაზღვრულიანსა და ატრიბუტულმსაზღვრელიან ტოპონიმებში მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა ძირითადად არის პრეპოზიციური.

ბარჭუნარელარ – „ტყემლების დარი“ დარი (მესტია, ტობარი, ხაიში);

ბიკრელაშდალ - „ბუნძების ჩამოსაყრელი“ ხევი, ტყემლნარია (მესტია, არცხელი, მულახი);

ნაკ გიცლაშ – საძოვარი (მესტია, ზეგანი);

ჯგრობგ ბალაშ – „წმ. გიორგი ბალისა“ საყდარი ბალის ქედზე (მესტია, ივეხი);

როგორც განხილულმა მასალამ აჩვენა, ნათესაობითის ნიშნისეული თანხმოვანი არ არის მყარი არც ხმოვანფუძიან და არც თანხმოვანფუძიან სახელებთან, ორივე შემთხვევაში სან შენარჩუნებულია სან არა, სხვაობა დიალექტების მიხედვითაც თვალსაჩინოა, განსხვავებით ზემოსვანური დიალექტებისაგან ქვემოსვანურ ტოპონიმებში იშვიათადაა წარმოდგენილი.

დასკვნა. საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ სვანურში უხვად დასტურდება კომპოზიტი გეოგრაფიული სახელები, მათ შორის გაცილებით მრავლად გვხვდება გენეტიურმსაზღვრულიანი ტოპონიმები, ხოლო ატრიბუტულმსაზღვრელიანი შედარებით ნაკლებად. მიუხედავად ამისა, არსებული მასალა

საქმაოდ მრავალფეროვანია და სხვადასახვა ნიშნის მიხედვით აფასებს თუ ახასიათებს ამა თუ იმ გეოგრაფიულ ობიექტს და ამ შევასებაში, ხშირად ჩანს სახელდების განმაპირობებელი თუ გამომწვევი მიზეზი.

სხვა ქართველური ენების მსგავსად, ძალზედ იშვიათია მსაზღვრელ-საზღვრულის ინვერსიული რიგი და როგორც გენეტიკურმსაზღვრელიანში, ისე ატრიბუტულმსაზღვრელიან ტოპონიმებში ჭარბობს პრეპოზიციური წყობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

ზურაბაშვილი, 1961: ო. ზურაბიშვილი, ტოპონიმიების შესწავლისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, ობ., 1961.

ცხადაია, 1985: პ. ცხადაია, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია, ობ., 1985.